საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

ხუთშაბათი 9 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 39 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტებისა. № 39

## რევოლიუციის საფეხურები

სოციალისტური რევოლიუცია მრავალ საფეხურს განვლის თავის გამარჯვებამდე. რევოლიუციონური პარტიის მოვალეობაა შეისწავლოს და გამოიკვლიოს ყოველი ამ საფეხურის თავისებურობა, მისი განსაკუთრებული პირობები და შესაფერათ მიმართოს თავისი მოქმედება.

რევოლიუციების ერა დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს, როდესაც 1917 წ. თებერვალ-მარტში რუსეთის პროლეტარიატმა და გლეხობამ დაამხო თვითმპყრობელობა. რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია შეეცადა თავის სასარგებლოთ გამოეყენებინა რევოლიუცია და მიემართა მისი ძალები გერმანიის იმპერიალიზმის შესამუსრავათ.

რაც გინდ თვალ წარმტაცი ყოფილიყო გერმანიის იმპერიალიზმის დამარცხება, რევოლიუციისთვის უდიდესი ბოროტება იქნებოდა, რომ ის წამოგებოდა რუსეთის ბურჟუაზიის ანკესს და მთელი თავისი ძალა სწორეთ რუსეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ არ მიემართა. რევოლიუციამ თავი დააღწია კერენსკი-წერეთლის სანუკვარ გზას,—ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას და გამარჯვებულათ განვლო მის პირველ საფეხურზევე წარმომდგარი საშიშროებანი.

სულ სხვა პირობებში მოექცა რევოლიუცია, როდესაც მასზე სასიკვდილო იერიშები მიჰქონდა ანტანტაზე გამარჯვებულ გერმანიის იმპერიალიზმს. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკება უმწვერვალესობამდე განვითარებულ კრიზისს წარმოადგენდა რევოლიუციისთვის. ან ომი გერმანიასთან, ან დიდი მსხვერპლით და დათმობით უკან დახევა და ახალი ძალების მოკრება. ომი გერმანიასთან პირდაპირ საბედისწერო იქნებოდა რევოლიუციისთვის და მას კარგა დიდი ხნით წელში გასწყვეტდა. რევოლიუციამ ნაკლები ბოროტება ამჯობინა და გერმანიის იმპერიალიზმიდან მოქნეული ხმალი თავიდან აიშორა.

გერმანიის იმპერიალიზმზე გამარჯვებული ანტანტა სულ სხვა პირობებში აყენებს რევოლიუციას. ეს უკანასკნელი იძულებულია ძიიღოს ანტანტასთან ომი და აწარმოვოს იგი მრავალ სხვა და სხვა ფრონტზე. ამ დროს რევოლიუციას უკვე ძლიერი ჯარი ყავს, რომლის მსგავსი არცერთ მის მოწინააღმდეგეს არ მოეპოება. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა რევოლიუციისთვის მთელი იმედები ამ ჯარზე დაემყარებინა და მარტო სამხედრო ძლიერების ამარა დარჩენილიყო. ის შეეცადა შიგნით შეემტვრია მტრის ციხე და იქ გამოენახა თავისი მოკავშირენი. რაც გინდ მძიმედ იძვროდა საბრძოლველად ევროპის პროლეტარიატი, საჭირო იყო უფრო მეტი მოთმინებით აღჭურვა და თან სისტემატიურათ წარმოებული მუშაობა ევროპის პროლეტარიატზე გავლენის მოსაპოებლათ. სწორედ ამ გავლენის გაძლიერებამ შეუწყო ხელი რევოლიუციას იმაში, რომ მან ამდენ ხანს შეინარჩუნა თავისი პოზიციები, მიუხედავათ მთელი ქვეყნის კონტრ რევოლიუციონური ძალების შემოსევისა.

მაგრამ ეს სწორათ აღებული გეზი ჯერჯერობით მაინც არ სწყვეტს რევოლიუციის გამარჯვების საკითხს. მართალია, ევროპის პროლეტარიატი უკვე აქტიურათ გამოდის ბრძოლის ველზე, მაგრამ ბურჟუაზიასაც ჯერ კიდევ ბევრი შესაძლებლობა რჩება თავისი განკითხვის დღე რაც შეიძლება შორს გადადოს.

იმ დროს, როდესაც ანტანტასთან ბრძოლა საბოლოვოთ არ გადახრილა რევოლიუციის სასარგებლოთ, ასპარეზზე გამოდის მრავალმილიონიანი აღმოსავლეთი, რომელიც ბრძოლაში ერევა თუმცა როგორც მესამე ძალა, მაგრამ წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელიც რევოლიუციის აუცილებელი მოკავშირეა.

აღმოსავლეთის ამოძრავება თავისებური რგოლია რევოლიუციის მსვლელობაში და მისი მოვლინება წარმოადგენს განსაკთთრებულ პირობას რევოლიუციის იმ საფეხურისას, რომელსაც მან უკვე დღემდის მიაღწია.

რაში მდგომარეობს შექმნილი მდგომარეობის თავისებურობა? იმაში, რომ რევოლიუციის ბაზა გაფართოვდა და ეს გაფართოება ხდება ჩამორჩენილი ქვეყნების ბრძოლაში ჩარევით.

აღმოსავლეთი მოითხოვს რევოლიუციონური პარტიის დიდ ყურადღებას. აღმოსავლეთის ამოძრავება ხელოვნურათ არ არის გამოწვეული. ის სტიქიური აუცილებლობით ეხვევა იმ დიადი ბრძოლის კორიანტელში, რომელიც რევოლიუციონურ ერას მთელი ქვეყნიერებისთვის მოაქვს. ამ სტიქიის გზა— და კვალის შეცნობა, მასში შეგნების შეტანა და მთელი მისი ძალლონის შეძლებისდაგვარათ მიზანშეწონილათ მიმართვა მისცემს რევოლიუციას იმ ძლიერებას, რომელიც მას საბოლოვოთ უძლეველათ გახდის.

აღმოსავლეთი ჩამორჩენილი და თან შეუსწავლელი ქვეყანაა. ამიტომ წინდაწინ უნდა მივიღოთ ის აზრი, რომ შესაძლოა აქ რევოლიუციამ მრავალი სიურპრიზი ნახოს. მაგრამ რაც უნდა გართულდეს დროგამოშვებით აქაურ საქმეთა მდგომარეობა, ერთი რამ უდავოთ შეგვიძლია ახლავე ვაღვიაროთ: აღმოსავლეთის მოძრაობა ობიექტიურათ და სუბიექტივურათ ევროპის იმპერიალიზმისკენ არის მიმართული და როგორც ასეთი, ის უეჭველათ პროგრესიული მოვლენაა. ხოლო კონკრეტიულათ რამოდენ ძალას და ენერგიას შემატებს იგი რევოლიუციის დღევანდელ მის საფეხურზე, დამოკიდებულია სხვა და სხვა ფაქტებზე, დამოკიდებულია თვით ევროპის ამოძრავებაზე, რომელიც დიდხანს არ დააყოვნებს მთელი თავისი რისხვით დაატყდეს ძველ ქვეყანას და მოაახლოვოს რევოლიუციის გამარჯვება.

## პროლეტარული ზავის პირობები.

იმპერიალისტები! დამპყრობელები! მცირე ხალხების თავისუფლების და დამოუკიდებლობის მტრები და გამსრესელნი!—აი რა სახელწოდებებით ამკობენ ჩვენებური ნაციონალისტები და ნაციონალ-სოციალისტები რუსეთის საბჭოთა მთავრობას, აი რა ეპიტეტებს აბნევენ პროლეტარული რუსეთის საგარეო პოლიტიკის დასახასიათებლად. სხვა რომ არა იყოს რა, ასეთი უძვლო ენების მუშაობა საოცარია იმ კუთხეში, რომლის დამოუკიდებლობა დღესაც არაა ნაცნობი და აღიარებული სათაყვანებელ „დასავლეთის იმპერიალისტების“ მიერ, ხოლო აღიარებულია და ცნობილი სწორედ იმ „აღმოსავლეთის ფანატიკოსების“ მიერ, რომელთა მისამართით გაისმის ჩვენებურ შავრაზმელების და წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატების მაგარი სიტყვები. არ იხსენებენ თავის ახლობელ ისტორიას, ვითომ არ ახსოვთ არც ფინლიანდიის, ესტონეთის და სხვა წვრილი ხალხების განთავისუფლება საბჭოთა რუსეთის მიერ. აღარც ის ახსოვთ, რომ წერეთელ-კერენსკის დროს როგორ გარეკეს ფინლიანდიის სეიმი დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვის გამო, და როგორ უკრაინას პირში ბურთის ჩარა მოუნდომეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის მოითხოვდა ავტონომიის დაპირებას. არ იხსენებენ და არ ახსენდებათ. მაგრამ ახლა მთელმა მსოფლიომ გაიგო თუ რის მომასწავებელია გამარჯვებული რუსეთის პროლეტარიატი, რისი მატარებელია მისი ნაკარნახევი ზავი თვით მოსისხლე დამარცხებულ მტრისადმი.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოყვანილია ის საზავო პირობები, რომელიც წარუდგენია საბჭოთა რუსეთის მთავრობას პოლონეთის დელეგატებისათვის ქ. მინსკში, წარუდგენია არა სამხედრო გაჭირვების დროს, არამედ მაშინ, როცა მისი წითელი ჯარი უკვე პოლონეთის პანების ბუნაგს, ქ. ვარშავას უცქეროდენ და როცა ვარშავას აღებაში და მით ბურჟუაზიული პოლონეთის საბოლოო დამარცხებაში დარწმუნებული იყვენ მუშურ-გლეხურ რუსეთის მტრებიც და მოყვარეებიც. გულდასმით გაეცანით, შეისწავლეთ ეს შესანიშნავი — თამამად შეიძლება ითქვას: ისტორიაში აქამდის უნახავი — დოკუმენტი და წარმოდგენა გექნებათ რევოლიუციონური პროლეტარიატის რევოლიუციონურ-გამათავისუფლებელ საერთაშორისო პოლიტიკაზე. იქ ვერ შეამჩნევთ იმ ძიგძიგს ტერიტორიის გაფართოების გამო, რაც ასე დამახასიათებელია ბურჟუაზიის და წვრილი ბურჟუაზიის, ამ მსხვილი და წვრილი მესაკუთრეების დადებულ ხელშეკრულობების, პირიქით რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა საკუთარი ნებით უფრო ფართეთ ფარგლავს ეთნოგრაფიული მოსაზრებით პოლონეთის ტერიტორიას, ვიდრე პოლონეთის „მფარველი“ ანტანტას გმირი ლორდ კერზონი. საბჭოთა რესპუბლიკა მოწადინებულია მხოლოდ უზრუნველყოს თავისი პროლეტარული სამშობლო პოლონეთის კონტრ რევოლიუციის თავდაცემისაგან, და ამ მიზანს ემსახურება მთელი საზავო პირობა. რა საშუალებებით შეიძლება ამ სავსებით კანონიერი და სამართლიანი მიზნის მიღწევა, რომლის უდაო სამართლიანობა იცნო თვით ლოიდ-ჯორჯმა? რასაკვირველია პირველ ყოვლისა, პოლონეთის პანების განიარაღებით, მისი მორჩილი ჯარის რიცხვის შემცირებით იმ დონემდე, რაიც საკმაოა თავდაცვისათვის და შეუძლებელს ხდის ხელახლა შეტევას რუსეთის მუშა გლეხების გასაჟლეტად, რუსეთის ბურჟუაპომეშჩიკების ხელახლა გასაბატონებლად. პოლონეთმა უნდა იყოლიოს მხოლოდ 60 ათასი ჯარი, ისიც უკანასკნელი წლების გაწვეულთაგან შემდგარი, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ გადაუქცევია პანების ყაზარმებს უსიტყვო მანქანათ, მორჩილ სახედ საქონლად. პოლონეთმა ხელი უნდა აიღოს სხვა სახელმწიფოთაგან დახმარებაზე ჯარით და სამხედრო მასალით. მაგრამ ჯარის შიმცირება არ ნიშნავს შეიარაღებულ ძალთა შემცირებას—პირიქით, რუსეთი მოითხოვს პოლონეთის ყველა მუშების შეიარაღებას, ვინც კი პროფესიონალურ კავშირებში ირიცხება. ასეთები კი რამდენიმე ასი ათასი მაინც იქნებიან პოლონეთში. აი ნამდვილი პროლეტარული ჯარი, რომელიც სანდო დარაჯათ უნდა დაუდგეს პოლონეთის ხელშეუხებლობას. მართივი, ვით ჭეშმარიტება, სადა ვით რევოლიუციის კეთილშობილება, წინადადება, მაგრამ სწორედ ამ მუხლმა გააცოფა პოლონეთის სისხლის მსმელი ბურჟუა პანები და სიმწრის ოფლი გადაასხა მათ მფარველ ანგელოზს ლოიდ-ჯორჯს: შეიარაღებული პოლონეთის პროლეტარიატი—ეს ხომ ბოლოს მოღებაა მათი თავდამსხმელ პოლიტიკის, ეს ხომ რევოლიუციონური რუსეთის მოსვენებას ნიშნავს, ეს ხომ მეორეთ მოსვლის მომასწავებელი და წინამორბედი ნიშანია! შეიარაღებული პოლონეთის პროლეტარიატი ნიშნავს მშვიდობიანობას, მათ კი სისხლი სწყურიათ, სისხლი საკუთარი ქვეყნის მუშა-გლეხების, სისხლი რუსეთის მუშა-გლეხების.

რუსეთის საბჭოთა მთავრობა ზრუნავს არა მარტო პოლონეთის პანების შემოსევით აოხრებულ ოლქების ეღდგენაზე, მისი მოთხოვნაა უფასოდ დაურიგდეს მიწა ოჯახებს პოლონეთის მოქალაქეთა, რომლებიც ომში დაიღუპენ, დაიჭრენ და შრომის უნარი დაკარგეს. საზავო პირობები მოითხოვენ აგრეთვე სრულ ამნისტიას პოლონელ მოქალაქეთათვის, რომლებიც რუსეთის ჯარში მსახურებდენ ან რუსეთის სასარგებლო მუშაობას ეწეოდენ პოლონეთში.

დასასრულ, რუსეთი მოითხოვს, რომ ყველა კომისიებში ზავის პირობების გამოსამუშავებლად და ცხოვრებაში გასატარებლად მონაწილეობა მიიღონ. პროფ. კავშირების, სამრეწველო და სოფლის მუშების წარმომადგენლებმა. ფარული, არისტოკრატიული დიპლომატიას შეჩვეულ პოლონეთის ექსპლოატატორებს და მათ სულის ჩამდგმელებს რასაკვირველია არ მოეწონებოდათ ეს ნამდვილი პროლეტარული, რევოლიუციის ინტერესებით ნაკარნახევი ზავი, რომლის ყოველი მუხლიდან, მუხლის ყოველი ასოდან გამოსჭვივის მშრომელი ხალხების გათავისუფლების წყურვილი. ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი—აი რითია გაჭენილი ეს პროლეტარული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება არ ეღირსოს მთლად განხორციელება, მარა რომელიც დარჩება საუცხოვო ნიმუშად მუშურ-გლეხური რესპუბლიკის საერთაშორისო პოლიტიკისა.

## საბჭოთა რუსეთის პრესა.

### მასსიური პროპაგანდის ცდა.

მე-8 პარტიულ ყრილობიდან მე-9 ყრილობამდის ე. ი. ერთი წლის განმავლობაში, რ. კ. მ. პ. პარტიის წევრთა რიცხვი გამრავლდა დაახლოვებით ორჯერ. მოსკოვის პარტიულ (კომუნისტურ) ორგანიზაციამ „პარტიულ კვირაში“ შეიძინა 15 ათასი ახალი წევრი. პარტიულ წევრთა რიცხვის ზრდა არ შეწყვეტილა აქამდის. თეთრ პოლონელების შემოტევის პირველ კვირეებში დაეტყო, რომ ორგანიზაციიდან თავისი ნებით გამოდიოდენ ზოგიერთი წევრები, მაგრამ მასთან ერთად არ შეწყვეტილა ახალი წევრების ორგანიზაციაში შემოსვლაც. ერთი სიტყვით პარტია იზრდებოდა და ეხლაც იზრდება. ეს მოვლენა პარტიის წინაშე აყენებს დღიურ წესრიგში კითხვას, რომ პარტიის წევრებს და კანდიდატებს მასსიური მეთოდით შევასწავლოთ კომუნიზმის მცნების ძირითადი თვისებები. მოსკოვის კომიტეტმა ივნისის და ივლისის თვეებში უკვე აწარმოვა მასსიური პროპაგანდა-აგიტაცია პარტიის წევრთა შორის. ყველა უბნებში პარტიული შკოლების მოწყობა, სადაც თავს მოიყრიან ამ რაიონის პარტიის წევრთა უმრავლესობა, მოკლე დროის კურსების მოწყობა, სადაც კომუნისტს შეეძლება გაიცნოს პარტიული პროგრამა, პარტიის ორგანიზაცია, მისი ტაქტიკა და აგრეთვე პარტიის ისტორია (6—7 ლექცია) და შემდეგ კი ყველა ამ კითხვებს პარტიის წევრი გაეცნობა უფრო დაწვრილებით და ძირითადათ. აი, ყველა ეს არის უმთავრესი საფუძვლები ჩვენი საპროპაგანდო გეგმის პირველი ციფრებითი ცნობები, მასსიური პროპაგანდის ნაყოფის შესახებ ასეთია: შკოლების საერთო რიცხვი—50; შკოლაში მსმენელთა საერთო რიცხვი—6,607; შკოლების რიცხვი ცალკე რაიონებში 6—14 არის. რაიონის შკოლების მსმენელთა რიცხვი არის—450—2,800 კაცამდის. რაიონულ, თითოეულ შკოლაში წევრთა რიცხვი ერთნაირი არ არის. ასე, მაგალითად, პრესნენის რაიონში არის შკოლები, სადაც მსმენელ წევრთა რიცხვი არის ზოგში—320—200—და ზოგიერთ შკოლაში არის 80 მსმენელიც. არის ისეთი შკოლები, სადაც მსმენელთა რიცხვი არის ხან 300—150,—80,—88,—112—და ხან 95 და სხვა. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ყველა შკოლებში მეცადინეობის პროგრამის ერთნაირობა არ ტარდება. თითქმის ყველა შკოლებში სწარმოებს მეცადინეოპა ლექციონური სისტემით.

არის შემთხვევა, რომ რომელიმე რაიონში ვერ ხერხდება პარტიული შკოლის მოწყობა, ლექტორების საკმაო რიცხვის უყოლობის გამო. ზემოთ მოყვანილი პირველ დაწყებითი და ზოგ შემთხვევაში არა სრული ცნობები, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა ნაყოფი შეუძლია მოგვცეს მასსიურ პროპაგანდამ და როგორი სახე მიიღო ამ პირველმა ცდამ მასსიური პროპაგანდის დარგში. მოსკოვის ორგანიზაციაში პარტიულ წევრთა რიცხვი პირველ ივნისში იყო 50 ათასი (კანდიდატებით). თუ ამ რიცხვს შევამოკლებთ 25 პროცენტით, მივიღებთ, რომ ორი თვის განმავლობაში ყველა ორგანიზაციების წევრების ერთ მეხუთედს უსარგებლებია პარტიული შკოლებით. მოსკოვის კომიტეტმა და ცენტრალურ კომიტეტის საგიტაციო განყოფილებამ უნდა ყურადღება მიაქციოს მოსკოვის ორგანიზაციის მიერ დაწყებული მასსიური პროპაგანდის საქმეს და იქედან შესაფერისი დასკვნები გამოიტანოს. ჩვენის აზრით, უპირველესათ ყოვლისა უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1) პროპაგანდის საქმის მოწყობას უნდა მიეცეს მართლაც მასსიური სახე. თუ ჩვენ მოსკოვში, პროვინციაზე რომ არ ვილაპარაკოთ, 2 ოვეში მხოლოდ ერთ მეხუთედს, ან ერთ მეექვსედს პარტიის წევრებისას გავატარებთ შკოლებში, ამ შემთხვევაში კომუნიზმის ანბანის ყველა კომუნისტების მიერ შესასწავლად საჭირო იქნება მრავალი თვეები.

2. ყველა, პარტიაში ახლად შემოსული წევრი, პარტიაში ჩაწერისთანვე, მაშინვე უნდა შეტანილ იქნას პირველ საფეხურის პარტიულ შკოლის წევრთა სიაში.

3. პირველი საფეხურის შკოლაში აუცილებლად საჭიროა სამეცადინო პროგრამის ერთნაირობა.

უნდა შემუშავებული იქნას ერთნაირი პროგრამა თავისი კონსპექტით, რომელიც სავალდებულო იქნება ყველა ორგანიზაციებისთვის.

4. აუცილებლათ საჭიროა პირველ საფეხურის შკოლებში რადიკალურათ იქნას გაუმჯობესებული მეცადინეობის მეთოდები. (ლექციონური სისტემა ვერ იძლევა მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ შედეგებს). შემუშავებული პროგრამა უნდა დაურიგდეს ყველა ორგანიზაციებს სახელმძღვანელოთ.

5. საჭიროა აღრიცხულ იქნას ყველა ლექტორები. ყველა ისინი უნდა განწესებულ იქნას პირველ საფეხურის შკო-

ლებში ლექციების საკითხავათ. მათ დაევალებათ ლექტორების ყოველივე მოვალეობები.

6. პირველი საფეხურის შკოლები ისე უნდა მოეწყოს, რომ ყოველთვის იყვეს მათში მუდმივი მსმენელთა საკმაო რიცხვი. (ჩაწერა, სწორი რეგისტრაცია, არავითარი თავისუფილი მსმენელები და სსვა).

7. აუცილებლათ საჭიროა მეორე საფეხურის შკოლის გეგმის შემუშავება და მისი ცხოვრებაში გატარება. (მოსკოვში არსებობს აგრეთვე შკოლები რაიონებთან და მოსკოვის კომიტეტებთან, ამ გზით დაიწყება ლექტორების მასსიური მომზადების საქმე,

8. პარტიის განზრახულ მუშაობაში (ყოველ შესაძლებელ შემთხვევებში) უნდა გამოყენებულ იქნას „ნარკომპროსი" (განათლების სახალხო კომისარი და მისი ორგანოები. („პრავდა" № 179).

ა. ბუბკოვი.

**კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესი, ეს პროლეტარულ არმიის სამხედრო თათბირია ომის წინ!**

# ინტერნაციონალის გარშემო

## კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი მოსკოვში

**პ ი რ ვ ე ლ ი ს ხ დ ო მ ა**

**ამხ. ზინოვიევის მოხსენება**

(დასასრული, იხ. „ახ. კომ." № 38)

### საჭიროა თუ არა ცენტრალისტური პარტია.

ხშირად ლაპარაკობენ რუსეთის რევოლიუციის გამოცდილების შესახებ, მაგრამ მისი ჭეშმარიტი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ცენტრალისტური პარტია, პარტიის მილიტარისტული რკინის დისციპლინა არ გვქონებოდა, რომელიც შევქმენით 20 წ. განმავლობაში, უსათუოთ ჩვენ უკვე ოცჯერ ვიქნებოდით სასტიკათ დამარცხებულნი. აი რაში მდგომარეობს რუსეთის რევოლიუციის გამოცდილება, და ამ ჭეშმარიტებას დაგიმოწმებს თქვენ ყოველი მუშა, ჩვენი პარტიის ყოველ წევრი. ეს ჩვენ ვისწავლეთ.

### რას ნიშნავს სიტყვები: „სამოქალაქო ომი"

არ შეიძლება იოლად მევეკიდოთ ამ საკითხს, უნდა დავუფიქრდეთ იმას, თუ რას ნიშნავს ცხოვრებაში სიტყვები: „სამოქალაქო ომი". ძალიან ადვილია თქმა: დავიწყოთ სამოქალაქო ომი! მაგრამ საკმარისად ძნელია განვიცადოთ სამოქალაქო ომი ერთ, ორი, სამი წლის განმავლობაში, როდესაც გვიხდება პარტიის წევრების ათი-ათასობით გაგზავნა ფრონტზე, სადაც ისინი უთვალავათ იღუპებიან, როდესაც გვიხდება პარტიის წევრების მხრით დიდი მსხვერპლის გაღების მოთხოვნა, როდესაც უნდა მივიღოთ უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება 24 საათის განმავლობაში ან თითქმის 24 წუთშიაც, როდესაც აღჭურვილი უნდა ვიყოთ მუშათა აბსოლიუტური ნდობით, რომ მივაღწიოთ რაიმეს საზოგადოთ.

### ტიტანიურ ბრძოლაში საჭიროა ორგანიზაციული ცენტრი რკინის დისციპლინით

ის გარემოება, რომ ჩვენ ამ ჟამათ ტიტანიურ ბრძოლაში ვებმებით, რომ ჭეშმარიტათ დღეს დაჰკრა საათმა, როდესაც ჩვენ ავიღეთ ლახვარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ—ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ განვაცხადოთ არა მარტო ნაციის სახელით, არამედ ინტერნაციონალის სახელითაც: ჩვენ გვჭირია ორგანიზაციული ცენტრი რკინის დისციპლინით, სამხედრო სახით. მხოლოდ მაშინ მივაღწევთ ჩვენ იმას, რაც ნამდვილათ გვესაჭიროება. ამ მხრით საჭირო იქნებოდა გვესწავლა ჩვენი მტრებისაგან. ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ასეთ მძიმე პირობებში ჩვენ შევსძლებთ გავიმარჯოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მართლაც კარგათ და მწყობრათ ვიქნებით შეკავშირებული. მაგრამ ამას ჩვენ შევეხებით კიდევ უფრო დაწვრილებით შემდეგ, როდესაც მოგვიხდება კომუნისტურ ინტერნაციონალის დებულების გამომუშავება და ამავე კითხვების გარჩევა საერთაშორისო მასშტაბში.

### პარტია საჭიროა ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგაც

ხანდისხან გაიგონებთ ზოგიერთ ამხანაგებისგან: „ჰო, კი, შეიძლება ახლა ჯერ კიდევ მართლაც საჭირო იყოს პარტია, მანამდის, სანამ ჩვენ ვცხოვრობთ ბურჟუაზიულ წყობილებაში, სანამ ჯერ კიდევ არ ჩაგვიგდია ჩვენ ხელში ძალა-უფლება, მაგრამ როგორც კი გავიმარჯვებთ, პარტია სრულებით არ იქნება საჭირო". ამის შესახებ მე ვებაასებოდი კარგ გერმანელ მუშა კომუნისტებს, მათგან მესმოდა ეს სიტყვები, და ნებას მივცემ ჩემს თავს ამ შემთხვევაში მიგითითოთ რუსეთის პარტიის გამოცდილებაზე. სწორედ რომ ძალა უფლების დაპყრობის შემდეგ პარტიის მიერ სწორეთ, რომ ჩვენი მთავრობის მოწყობის შემდეგ, პარტიის როლი არა თუ დაეცა, არამედ აიწია კიდეც და დღითი-დღე იზრდება. არასოდეს არ ყოფილა რუსეთში პარტიის მნიშვნელობა ისე დიდი, როგორც ახლა, ჩვენი გამარჯვების შემდეგ. ყველა დიდ კითხვებში და გადაწყვეტილებებში აუცილებელია პარტიის ნამდვილი კანტროლი.

### პროლეტარიატის დიქტატურა და კომუნისტური პარტია.

მართალია, ხანდისხან ისეთი პირები, როგორიც არის კაუცკი, ამბობენ: თქვენთან, რუსეთში მუშათა კლასის დიქტატურა კი არ არის, არამედ პარტიის დიქტატურა. ფიქრობენ, რომ ამით ვითომ გვისაყვედურებენ ჩვენ. სრულიადაც არა. ჩვენში არსებობს მუშათა კლასის დიქტატურა, და მაშასადამე, კომუნისტურ პარტიის დიქტატურაც. კომუნისტური პარტიის დიქტატურა მხოლოდ ფუნქციაა, მუშათა კლასის დიქტატურის გამოხატულების დამახასიათებელი თვისება. რას წარმოადგენს ჩვენი პარტია? ის არ უნდა ავრიოთ სხვა პარტიებში, რომლებიც შესდგებიან ვექილებისაგან. აქ, ჩვენ პარტიაში შედის 600—700 ათასი საუკეთესო მუშა, პროლეტარიატის მოწინავე რაზმი. და ცხადია, რომ მუშათა კლასის საქმეებს განაგებენ მისი საუკეთესო წარმომადგენლები. ამგვარათ, ერთდა იმავე დროს ეწყობა პროლეტარიატისაც და კომუნისტურ პარტიის დიქტატურა. სხვადასხვა ორგანიზაციების კანტროლის უფლება ეკუთვნის პარტიას; ასეც უნდა იყოს პროლეტარულ რევოლიუციის დროს. გამარჯვების შემდეგ პარტიის როლი კი არ პატარავდება, არამედ, პირიქით, იზრდება.

### საბჭოები და პარტია

საბჭოთა ძალა-უფლების იდეამ დაიპყრო თითქმის მთელი მსოფლიოს მუშები. მუშათა კლასი ნაწილობრივათ შეგნებულათ, ნაწილობრივათ შეუგნებლათ, დარწმუნებულია იმაში, რომ კაცობრიობა უახლოვდება საბჭოთა სისტემის განხორციელებას. ეს მართალია. მაგრამ აქედან ხშირათ იმ დასკვნას აკეთებენ, რომ საბჭოების დროს ჩვენთვის არაა საჭირო პარტია, რომ საბჭოებმა უნდა გაწიონ მისი მაგიერობა, რომ პარტია გაითქვიფება მათში და შეეგუება მათ იდეას. აქ ხელახლა ისევ უნდა მივმართოთ პირველ კლასიურ რევოლიუციის გამოცდილებას. ჩვენ, რუსებმა, 1917 წ. შევსძელით ასე ჩქარა დაგვეპყრო საბჭოები, რომლებიც 8 თვის განმავლობაში პროტესტს აცხადებდენ მუშათა პოლიტიკის წინააღმდეგ, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გვყავდა მჭიდროთ შეკავშირებული, გაბედული, მომქმედი პარტია და საბჭოებში ასე ძლიერი კომუნიზმის გავლენა სწორეთ იმიტომაა, რომ ჩვენი პარტია ძლიერია. საბჭოები არა თუ უარყოფენ პარტიის არსებობის აუცილებლობას, არამედ, პირიქით, მისი იდეიდან გამომდინარეობენ. კომუნისტური პარტია აქაც საბჭოების პირდაპირი წინასწერი პირობაა, მათი ხელმძღვანელი ძალაა, აუცილებელი პირობაა, საბჭოების თავი და ტვინია.

### წევრების სიმრავლე პარტიაში ბურჟუაზიის ბატონობის დროს და მის შემდეგ.

ჩვენ სრულიად აშკარათ ვაცხადებთ ამხანაგების საყურადღებოთ: არა მარტო მაშინ, როდესაც ვლაპარაკობთ საბჭოებზე, არამედ მაშინაც, როდესაც ჩვენ უკვე გვაქვს ისინი, გვჭირია ჩვენ ძლიერი კომუნისტური პარტია, რომელიც იზრდება დღითი-დღე. ჩვენ ხშირათ გვეუბნებიან, რომ საბჭოებში შეკავშირებულია თითქმის მთელი მუშათა კლასი, ხოლო პარტიაში კი მხოლოდ მისი უმცირესობა, და ასე იქნება მუდამ შემდეგშიაც. მაგრამ არა, ეს ასე არ იქნება, და ახლაც ეს ასე არ არის. მეორე ინტერნაციონალის ეპოქაში ამბობდენ, რომ ვერასოდეს ვერ შესძლებს სოციალ დემოკრატიული პარტია შეაკავშიროს მუშათა კლასის უმრავლესობა, სანამ არ დაემხობა ბურჟუაზიის ძალა-უფლება, სანამ უკანასკნელი ფლობს პრესას, შკოლას, პარლამენტს და ხელოვნებას. ასეთი ვითარების გამო მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი იშლება, გადადის მტრულ ბანაკში ბურჟუაზიის და მისი აგენტების პროპაგანდის გამო. ცხადია, რომ ამ ჟამათ პრესის უქონლობა გვართმევს მუშათა კლასის ნაწილს. მაგრამ მას შემდეგ, რაც პრესის თავისუფლება მუშათა კლასისთვის განხორციელებული იქნება, მას შემდეგ, რაც ჩვენ დავევუფლებით შკოლას და პრესას, დადგება დრო—და ის არც ისე შორსაა—როდესაც თანდათან, დღითი დღე, ჩვენს მხარეზე გადმოსვლას დაიწყებენ მუშათა კლასის დიდი ჯგუფები, და დადგება მომენტი, როდესაც ჩვენს რიგებში თავს მოიყრის მუშათა კლასის უმრავლესობა. უკვე ახლაც ვამჩნევთ ასეთ პერსპექტივას და ამიტომ ჩვენთვის საჭიროა პარტია საბჭოების დაარსების შემდეგაც.

### მუშათა კლასის ხელახლათ დანაწილება.

წინანდელ, ეგრედ წოდებული, სამნაირი კლასიური დანაწილება მუშათა კლასის: პარტიათ, პროფკავშირებათ და კოოპერატივებათ, ახლანდელ დროისთვის არ არის სწორი და შეცვლილია ახალით: პარტიებათ, პროფკავშირებათ და საბჭოებათ. შეიძლება ესეც შეიცვალოს, ახალი ფორმები აღმოცენდეს, შეიძლება ესა თუ ის რევოლიუცია შეიტანს ან შექმნის რაიმე ახალს; ასეც იქნება ალბათ. მაგრამ რამდენათაც ჩვენ შეგვიძლია ახლა ვიფიქროთ, ვიხელმძღვანელოთ რა რუსეთის რევოლიუციის მაგალითით, სამნაირი დანაწილება ასეთია: კომუნისტური პარტია, საბჭოები და პროფკავშირები და თუმცა-ღა ყოველგან—პარლამენტებშიაც, პროფკავშირებშიაც, პარტიულ ორგანიზაციებშიაც, ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ კომუნიზმის პროპაგანდა, მაგრამ მთელი მოძრაობის სულათ, ხელმძღვანელ ძალათ მაინც პარტია რჩება. ამ გვარათ არც საბჭოთა მთავრობა, არც გარევოლიუციონერებული პროფკავშირები—არ უარყოფენ პარტიის არსებობას.

### პარტია და რევოლიუციონური პროფკავშირები

შეიძლება გვითხრან ჩვენ, რომ პარტია საჭიროა მანამ, სანამ არსებობენ ყვითელი პროფკავშირები, მაგრამ როდესაც უკანასკნელი შეკავშირებული და რევოლიუციონური იქნებიან, პარტია მერე საჭირო არ იქნება. და ამაზე მე ვუპასუხებ: არა. თითქმის რევოლიუციონურ პროფკავშირების დროსაც, თითქმის მაშინაც, როდესაც უკანასკნელი სულ ერთიანად პირდაპირ კომუნისტური გახდებიან, როგორც ჩვენში, უთუოდ საჭიროა, აუცილებელია პარტია.

### როგორი საშუალებით ფიქრობს ძალა-უფლების დაპყრობას მსოფლიოს ინდუსტრიალური მუშების კავშირი

ჩვენ დავინახეთ კომუნიზმის გრაფიული დასურათება მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშათა კავშირის მიერ გამარჯვების შემდეგ. მას წარმოდგენილი აქვს ეს მომავალი შემდეგნაირათ: შუაში პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოა, პერიფერებში მთელი რიგი ცალკე პროფკავშირებისა. მაგრამ კითხვა ისმება. როგორი საშუალებებით დაიპყრობს ის ძალა-უფლებასო წითელი არმიის შექმნით. ვინაიდან ცხადია, რომ შეუძლებელია პროლეტარული რევოლიუცია წითელი არმიის გარეშე. ნუ თუ შექმნიან ისინი პროფესიონალურ საფუძველზე წითელ არმიას, რომელიც მოწყობილი იქნება წითელ ფეიქრების ლითონზე მომუშავეთა და სხვ. ცალცაკე არმიელებისაგან? ნუ თუ ამ პროფკავშირების წითელ არმიისთვის საჭირო უმთავრეს საბჭოსაც აგრეთვე პროფესიონალურ საფუძვლებზე შეადგენენ? ეს შეუძლებელია. ამგვარ წესით ჩვენ ვერ შევსძლებთ აგრეთვე სასურსათო საკითხის გადაჭრასაც კი.

### რატომ მხოლოდ პარტიას შეუძლია უხელმძღვანელოს სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას.

ჩვენ გვესაჭიროება სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ხოლო მისი ხელმძღვანელობა შეუძლია მხოლოდ პარტიას, იმიტომ, რომ სახელმწიფოებრივ პოლიტიკური ორგანიზაცია არის ის, რომელიც აკავშირებს მთელ სახელმწიფოს მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტებს. ჩვენში, რუსეთში, არიან პროკავშირები, რომლებიც ჩვენთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიან. მაგრამ ყოველთვის არ ყოფილა ეს ასე. ოქტომბრის რევოლიუციამდე პროფკავშირები მენშევიკების ხელში იყვენ და რევოლიუციის დასაწყისშიაც უმრავლესობა მათში მენშევიკები იყო. მაგრამ ჩვენ შევქმენით იქ კომუნისტური იაჩეიკები, ფრაქციები, და ახლა ძლიერი უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, პარტიის როლი არ შემცირებულა, და მისი მუშაობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა, ვინაიდან პროფკავშირები, რამდენადაც ისინი კომუნისტები არიან, ემორჩილებიან პარტიის ხელმძღვანელობას. და სხვანაირათ არც კი შეიძლებოდა ყოფილიყო. უკვე მარქსი იცავდა ამ თვალთსაზრისს, უთითებდა რა ყალბ აზრზე, ვითომ და პარტია განაგებდეს მოძრაობის მხოლოდ პოლიტიკურ მხარეს, ხოლო პროფკავშირები კი—ეკონომიურს. ეს არაა ასე. მარქსისტული შეხედულების თანახმათ, კომუნისტური პარტია არის ორგანიზაცია, რომელიც ეხება მუშათა მოძრაობის ყველა მხარეებს გამოუკლებლათ. მისი პრინციპები სახელმძღვანელო უნდა იყოს საბჭოებისათვისაც, სკოლებისთვისაც, პროფკავშირებისთვისაც, კოოპერაციისთვისაც, ყველა ორგანიზაციებისთვისაც, რომლებიც აერთიანებენ მუშათა კლასს. აი ეს არის ჭეშმარიტი მარქსიზმი.

### ჩვენ გვჭირია პოლიტიკური მარქსისტული პარტია.

კომუნისტური პარტია არა მარტო პოლიტიკური ორგანოა, ის არჩევს არა მარტო პოლიტიკურ კითხვებს, ის არა მარტო საარჩევნო მექანიზმია ან და პარლამენტარული მანქანა, როგორც ეს სწადიათ ოპორტუნისტებს. არა, ეს ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს მუშათა მოძრაობის საუკეთესო ნაწილს, რომელიც ხელმძღვანელობს ყველა სოციალურ ორგანოებს და მუშათა კლასის მთელ ბრძოლას სავსებით და ყველა მისი გამოხატულებით. და ამიტომ ჩვენ ვეუბნებით ყველა იმათ, რომლებიც ფიქრობენ, რომ უფერული მუშათა კავშირები ვნთომდა შესძლებენ პარტიის მაგიერობის გაწევას: თქვენ არა ხართ მართალი. და ამ შემთხვევაშიაც ჩვენ გვესაჭიროება პოლიტიკური მარქსისტული პარტია, რომელიც უხელმძღვანელებს პროფესიონალურ კავშირებს, შემატებს მათ ახალ ძალებს, უჩვენებს მათ გზას, რითაც იქნება ის მათთვის გზის მაჩვენებელი ვარსკლავი!

### ჩვენ გვესაჭიროება წმინდა მუშათა პარტია, როგორც აჯანყების დროს, ისე მის შემდეგაც.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომუნისტურმა კონგრესმა გარკვევით, მოკლეთ და ნათლად უნდა განაცხადოს: ახლა, როდესაც ჩვენ პროლეტარულ რევოლიუციის წინ ვდგევართ ყოველა მუშას ნათლად უნდა ქონდეს შეგნებული, რომ ძალაუფლება ხელში ჩაგდების წინ, შეიარაღებულ აჯანყების დროსაც და ამ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების და შეიარაღებულ აჯანყების შემდეგაც ჩვენ ერთნაირათ ვსაჭიროებთ კომუნისტურ პარტიას, რომელიც წმინდა მუშათა და არა წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებისგან იქნება შემდგარი, მართალია მას შეუძლია შევიდეს უკანასკნელებთან დროებით პოლიტიკურ შეთანხმებაში, მაგრამ არა პარტიის ფარგლებში, ვინაიდან, როგორც ასეთს, მას არ შეუძლია დაუშვას თავის წრეში წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები ან და გაერთიანდეს მათთან. მან უნდა გაატაროს რევოლიუციონური პარლამენტარიზმის იდეა კონტრ-რევოლიუციონურ პარლამენტებში, როგორც ამას შვებოდა კარლ ლიბკნეხტი. ის უნდა აგზავნიდეს იქ უბრალო რევოლიუციონურ მუშებს, და არა გამოქნილ ვექილებს, რომლებსაც მხოლოდ იმის უნარი შესწევთ, რომ დაიცვან ბურჟუაზიის საქმე. ჩვენ გვჭირია ისეთი პარტია, რომელიც უხელმძღვანელებს საბჭოებს ყოველ წუთში, ყოველნაირ მძიმე და რთულ შემთხვევებში.

### კომუნისტური პარტიის მნიშვნელობა.

ამხანაგებო, წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ ჩვენ 1871 წ. პარიჟის კომუნის დროს გვყოლებოდა კომუნისტური პარტია, რასაკვირველია, გასაგებია, თუ რატომ არ იყო ის მაშინ: იმ დროს არ იყო მისთვის საჭირო უცილებელი გარემოება და წინასწარი პირობები. მაგრამ ჩვენ რომ გვყოლებოდა მაშინ, თუ გინდ პატარა, მაგრამ გამორკვეული კომუნისტური პარტია, რასაკვირველია, ჩვენი ფრანგი წინაპარნი ასცდებოდენ ბევრ შეცდომებს, თუმცა-ღა ეს ალბათ მაინც ვერ უზრუნველყოფდა საფრანგეთის მუშათა კლასის გამარჯვებას. ამ ჩვენი აზრით, რასაკვირველია, ჩვენ სრულიადაც არ გვსურს დავჩრდილოთ კომუნარების მაღალი გმირული საქმეები.

### საჭიროა კომუნისტური პარტიების დაარსება იმ ქვეყნებში, სადაც ასეთები არ არის.

ზოგიერთ ქვეყნებში ახლა იმდენათ მომწიფდა პირობები, რომ იქ დღესხვალ უნდა იფეთქოს აჯანყებამ დიდ მასშტაბში. და აი, თუ არ გვეყოლა, თუ გინდ პატარა, მაგრამ მჭიდროთ შეკავშირებული და შეგნებული პარტია, ჩვენ მოგვიხდება უსარგებლო მსხვერპლის გაღება, ამიტომ აუცილებლად შეცდომები უნდა გამოვასწოროთ და დავაჩქაროთ მუშაობა იქეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი და ამერიკა, რადაც არა გვყავს ჩვენ ძლიერი კომუნისტური პარტია, სადაც ამხანაგები წინააღმდეგი არიან მისი მოწყობის. ისინი მწარეთ იჯავრებენ თავის დროზე ამ თავიანთ შეცდომებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც დაიწყება ბრძოლა, დარწმუნდებიან ისინი საქმით. თუ რა ზერელე, მჩატე აზროვნობა იყო ის, რომ არ გალესეს იარაღი თავის დროზე, არ აანთეს გზის მაჩვენებელი ვარსკლავი, რომელსაც შესძლებოდა საჭიროების დროს ეჩვენებია გზა მუშათა კლასისთვის.

### ჩვენ ყველაზე უფრო გვესაჭიროება ცენტრალისტური კომუნისტური პარტია რკინის დისციპლინით.

ამხანაგებო, მე ვფიქრობ შემეძლო დამეთავებია ჩემი მოხსენება ამაზე, მაგრამ დასკვნაში კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ იმას, რომ, თუ თქვენ გინდათ ისარგებლოთ რუსეთის რევოლიუციის გამოცდილებით, ყველაზე ადრე უნდა შეითვისოთ ერთი ძირითადი იდეა: ჩვენთვის საჭიროა კომუნისტური პარტია, პარტია ცენტრალისტური რკინის დისციპლინით. სხვანაირათ შეუძლებელია, სამოქალაქო ომის არსებულ ეპოქაში აუცილებლათ უნდა გვყავდეს რკინის, ერთი ნაჭრიდან ჩამოსხმული პარტია. თქვენ უნდა გადაიღოთ რუსი მუშებისაგან ის, რაც ნამდვილათ ღირსია მიბაძვის. რასაკვირველია, ჩვენს მოძრაობაშიაც არის სუსტი მხარე. ჩვენ ვგრძნობთ ამას და სრულიადაც არა გვაქვს ოხრათ გამოვიდეთ მასწავლებლების და დამრიგებების როლში. მაგრამ ვიტყვი ერთს. 20 წელიწადზე მეტია ვჭედავდით ჩვენ დღითი დღე ჩვენს ბალშევიკურს პარტიას, რომელიც შემდეგ კომუნისტები გახდა. ეს კარგი მაგალითია. ყოველგან, უცხოეთში და შინ დევნის დროს, ციხეში და ციმბირში ჩვენი გზის მაჩვენებელი იყო მუდამ პარტია. პარტიისადმი სიყვარული—ეს საუკეთესოა, რაც აუცერით ჩვენ რუსეთის მუშას. მოწინავე რუსი მუშისათვის პარტია ეს წმინდათა წმინდაა, ყველაზე საუკეთესო და მაღალია, სიცოცხლეზე უძვირფასესია, ყველაზე უფრო ახლობელია, მაიაკია და გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია. და ამ მხრით მთელი მსოფლიოს მუშათა კლასმა უნდა მიბაძოს რუსის მუშას". (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ეს მოხსენება გადათარგმნილ იქნა ამხ. ბალაბანოვის მიერ ფრანგულ ენაზე.

„რომ ისტორიაში ძალდატანება თამაშობს სხვა როლსაც (გარდა ბოროტების ჩადენისა), სახელდობრ რევოლიუციონურ როლს, რომ ის—როგორც მარქსი ამბობს—არის ბებია ქალი ყოველი ძველი საზოგადოებისთვის, რომელიც ორსულია ახალი საზოგადოებით, რომ ძალდატანება ის იარაღია, რომლის შემწეობით საზოგადოებრივი მოძრაობა იკაფავს გზას და ამტვრევს გაქვავებულ, გამეშებულ პოლიტიკურ ფორმებს—ყველა ამაზე ერთ სიტყვასაც არ ამბობს ბ. დიურინგი. მხოლოთ კვნესით და ტირილით ის აღიარებს იმის შესაძლებლობას, რომ გამყვლეფელი მეურნეობის დასამხობათ შეიძლება საჭირო შეიქნეს ძალდატანება და ეს თურმე სამწუხაროა, რადგან ძალადობის გამოყენება რყვნის თითონ მას, ვინც მას გამოიყენებსო. და ის ამას ამბობს მიუხედავათ იმ დიადი ზნეობრივ აღტყინებისა, რომელიც შედეგი იყო ხოლმე ყოველი ძლევამოსილი რევოლიუციისა!.. და ეს უფერული, უილაჯო, უძლური ხუცური აზროვნება ბედავს ადგილი მოიპოვოს ყველაზე რევოლიუციონურ პარტიაში, რომლის მზგავსი ჯერ ისტორიაში არ ყოფილა»...

ფ. ენგელსი „ანტი-დიურინგი“.

## უკანასკნელი ცნობები

### რესპუბლიკის რევოენსოვეტის საველე შტაბის სამხედრო ოპერატიული რადიო-ცნობა.

7 სექტემბრის ცნობა.

**პოლონეთის ფრონტი.**

გროდნოს რაიონში სოკოლკის ჩრდილოეთით გრძელდება ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები.

ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში ჩვენ დავიკავეთ კამენეც ლიტოვსკი.

ვლადიმირ-ვოლინის რაიონში, გრუბეშოვის ჩრდილოეთით და სამხრეთით გრძელდება მედგარი ბრძოლები. ჩვენ წამოვიყვანეთ 200 ტყვე.

ლვოვის რაიონში გრძელდება ბრძოლები. ჩვენ წამოვიყვანეთ 150 ტყვე.

**ყირიმის ფრონტი.**

ყირიმის ფრონტზე გრძელდება ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები.

## ბიულეტენი პრესბიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

**ვრანგელის დესანტის განადგურების დაწვრილებითი ცნობები.**

**ეკატერინოდარი**, 6 სექტ. 14 აგვისტოს ვრანგელმა გადმოსხა დესანტი (ჯარი) ანაპაში და სადგურ პრიმორსკო-ახტირსკაიაში. ანაპაში გადმოსხმული დესანტი იმავე დღეს, საღამოსვე იქნა განადგურებული. პრიმორსკო-ახტირსკაიაში გადმოსხმულმა დესანტმა შესძლო წინ წამოწევა და დაიკავა სადგ. ტიმაშევსკაია და მედვედევსკაია. 26 აგვისტოს ეკატერინოდარში მოვიდა ამხ. ტროცკი ზოგიერთ პოლიტიკურ მუშაკებთან ერთად. მაშინვე პროფესიონალურ კავშირების საბჭომ გამოაცხადა ვრანგელის დესანტის საწინაამდეგოთ გასაგზავნ რაზმში მოხალისეთა ჩაწერა. 12 საათის განმავლობაში ჩაეწერა 6 ათასი კაცი. მენშევიკებმაც შეაგროვეს თავის წევრების დიდი პროცენტი. 28 აგვისტოს ბრძოლით მტრის ეს ნაწილიც გავრეკეთ ყველა, მის მიერ დაკავებულ ადგილებიდან. მათ ბევრი მოუკალით, დანარჩენები გაიბნენ უგზო-უკვლოთ. იყო კიდევ მტრის ერთი ჯგუფი, რომელიც გადმოსხეს 17 აგვისტოს. ჩვენმა მზვერავებმა მოიტანეს ამბავი, რომ დესანტი წინ მოიწევს რაევსკისაკენ, რომ ხელთ იგდოს სად. ტონელნაია და ამრიგად გადასჭრას ნოვოროსიისკ-ეკატერინოდარის გზა. ჩვენმა სარდლობამ გაითვალისწინა ის საფრთხე, რომელიც მოჰყვებოდა რაევსკის დაკავებას,—ის, რომ მტერს შეეძლო აეფეთქებია ყველა გვირაბები სად. ტონელნაიასა და ნოვოროსისკის შუა რკინის გზებზე. ამის გამო სარდობამ დაისახა მიზნათ, შეეჩერებია მტერი, თუნდაც რაევსკამდის შუა გზაზე და როდესაც ძალას მიიმატებდა, გადაერეკა მტერი ზღვაში. რვა საათის მკაცრი ბრძოლის შემდეგ, ეს დანიშნულება (მტრის შეჩერება) შესრულებულ იქმნა. მტერი დაბრუნდა ლუნაჩარსკის სახელობის ქალაქისაკენ, (აბრაუ-დიურსო), მაგრამ აქ მას შეხვდა ჩვენი ნაწილები. იმავე დროს ჩვენ დავიკავეთ ხუტორი ლობანოვი. მტერს დაუხოცეთ 70 კაცი. ჩვენი ზარბაზნის ცეცხლით მტერს დაუღუპეთ ერთი ეემი, რომლის საქონლის მზიდაობა უდრიდა 20 ათას ფუთს. სოფელ ლობანოვთან მტერს წავართვით 180 ათასი პატრონა, 18 ყუთი ყუმბარა, 400 თოფი, ათასი ფუთი მარილი და აგრეთვე თათრული თამბაქო.

21 აგვისტოს ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. 22 აგვისტოს მოწინააღმდეგემ უკვე დაიწყო ზღვაში „ბარჟაზე“ გადასვლა. ჩვენმა ნაწილებმა განაგრძეს შეტევა, მაგრამ მტრის გემებიდან, რომლებიც ნაპირიდან ხუთ ვერსზე იდგენ, აგვიტეხეს ზარბაზნებიდან სროლა. ჩვენ იძულებული შევიქენით ამის გამო ცოტათი დაგვეხია. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი ზარბაზნების ცეცხლით გავაფუჭეთ მტრის „ბარჟა“, რომელიც ნაპირზე დარჩა. მტერი ისევ გადმოვიდა ნაპირზე და იქ გამაგრდა.

23 აგვისტოს ჩვენი ჯარი უფრო და უფრო ვიწრო რგოლათ ერტყმოდა მტერს. 24 აგვისტოს საბოლოვოთ გავანადგურეთ მტერი. მტრის ჯარის ნაწილმა შესძლო ზღვით წასვლა, ნაწილი კი ტყვეთ წამოვიყვანეთ.

**აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა.**

**ბაქო**, 5 აგვისტო. სამ სექტემბერს აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის პატივისცემის ნიშნათ ბაქოში გაიმართა დემონსტრაცია. მსვლელობაში მონაწილეობა მიიღეს ათი ათასობით ამხანაგებმა. ქალაქი განათებულ-გაჩირაღდნებული იყო.

ქალაქის ცენტრში და მუშათა რაიონებში გაიმართა მიტინგები.

აღმართეს ძეგლი კარლ მარქსისა-რომლის გახსნაზე გამოვიდენ ამხ. ნარიმანოვი, ზინოვიევი და რადეკი. „წითელი ახალგაზდობის“ მოედანზე დასწვეს „კერპები მსოფლიო იმპერიალისტებისა“.

**მიტინგი მეჩეთში.**

**ბაქო**, 5 სექტ. აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის პატივისცემის დემონსტრაციის დღეს თავანირის მეჩეთში გაიმართა გრანდიოზული მიტინგი ამხ. ნარიმანოვის და სხვების მონაწილეობით.

ამხანაგმა ნარიმანოვმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა ყრილობის მნიშვნელობას აღმოსავლეთის ხალხების განთავისუფლების საქმეში. მან სთქვა: იმისთვის, რომ აღმოსავლეთი სრულიათ განთავისუფლდეს მონობისაგან, საჭიროა უცხოელების—ინგლისელ კაპიტალისტების, აგრეთვე სულთანის და ფაშების უღელი კისრიდან აიშოროთო.

**ამხ. ჩიჩერინის ტელეგრამა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს—6 სექტ.**

**ვარშავა**, საგ. საქმ. მინისტრს. დელეგაცია, რომელიც შესდგება მოკავშირე-რუსეთისა და უკრაინის სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან:

ადოლფ აბრამის-ძე იოფფე, რესპუბლიკის კანტროლის წევრი, უკრაინის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი—დიმიტრი ზაქარიას ძე მამუილსკი, რუსეთის ფინანსთა კომისარიატის წევრი—ლეონიდ ლეონიდის ძე ობოლენსკი, რომელთაც რამოდენიმეთ დაგვიანებით შეუერთდება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში—სერგეი მირონის ძე კიროვი. დელეგაცია გამოვა, როგორც კი ის მიიღებს პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიას და როდესაც მათ მიეცემათ ბინა.

გთხოვთ გვაცნობოთ, თუ როდის ჩამოვლენ პოლონეთის დელეგატები რიგაში. ჩვენ გუშინდელ რადიოთი გავიგეთ, რომ პოლონეთის დელეგატები ჩამოვლენ რიგაში 14 სექტემბერს, მაგრამ არ ვიცით რამდენათ მართალია ეს. ძლიერ დავვალებით, თუ ამ კითხვაზე განმარტებებს მოგვცემთ. **ჩიჩერინი.**

**მენშევიკები ვრანგელის წინააღმდეგ.**

**ეკატერინოდარი**, 22 აგვ. (დაგვიანებულია) რ. ს. დ. მ. პ. ეკატერინოდარის ორგანიზაციამ 21 აგვისტოს წევრთა საერთო კრებაზე დაადგინა შემდეგი:

მიიღო რა მხედველობაში, რომ ყუბანზე უტევს თეთრი რეაქციის შეიარაღებული ძალები, ეკატერინოდარის ორგანიზაციამ (რ. ს. დ. მ. პ.) დაადგინა მოუწოდოს ეკატერინოდარის მუშებს წითელ არმიაში ჩასაწერათ და დაევალოს ორგანიზაციის კომიტეტს, მოახდინოს პარტიის წევრთა მობილიზაცია წითელ არმიაში სამუშაოთ“.

**იტალიაში ახლოვდება ოქტომბრის დღეები.**

**მოსკოვი**, 7 სექტ. მთელ იტალიაში თანდათან ძლიერდება რევოლიუციონური მოძრაობა:

**გენუაში** საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. ნეაპოლში მუშა მელითონეებმა ხელში ჩაიგდეს ქარხნები, რომლებსაც მუშების რაზმები იცავენ.

**ბალიენში, პარმეში და ლივერნში** მუშებმა ხელში ჩაიგდეს სხვა და სხვა ქარხანა ფაბრიკები და აგრეთვე მთავრობის იარაღის საწყობი. მილანის მუშათა პალატა ამბობს, რომ მუშებმა დიდებულათ დაიცვეს წესრიგი. მუშაობა სწარმოებს ყველა ქარხნებში. იტალიის გაზეთების სიტყვით, იტალიაში იწყება ბალშევიკური რევოლიუცია.

იტალიის ეს ამბები ძალიან აწუხებს გერმანიას. ის პირები, რომლებიც კარგად არიან გაცნობილი გერმანიის საქმეების მდგომარეობაზე, ამბობენ, რომ მოსალოდნელია რკინის გზელთა საყოველთაო გაფიცვა.

**პოლონეთი და ლიტვა.**

**ბერლინი**, 3 სექტ. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთსა და ლიტვას შორის უკვე გავლებულია სადემარკაციო ხაზი პოლონელ ჯარებმა მაინც დაიკავეს სუვალკი და ავგუსტოვო. კოვნოში მყოფ პოლონეთის სამხედრო მისიას ებრძანა, დასტოვოს ლიტვის საზღვრები. საზავო მოლაპარაკება პოლონეთსა და ლიტვას შორის შესწყდა.

**მუშების დახვრეტა ბუქარესტში.**

**ბუქარესტი**, 3 სექტ. ბუქარესტში მუშების დახვრეტამ დიდი მღელვარება გამოიწვია პროლეტარულ მასსებში. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, მოხდეს ამ შემთხვევის შესახებ სასტიკი გამოძიება. საგამომძიებლო კომისიაში არჩეულია სხვათა შორის ერთი სოციალისტი-დეპუტატი.

**რეფორმები ანატოლიაში.**

**სტამბოლი**, 25 აგვ. „ვაკიტ“ იტყობინება; მილეთელები ახალ პროგრამას ადგენენ ანატოლიის რეფორმებისათვის. ამ პროგრამის მიხედვით დაშრობილ უნდა იქმნას ჭაობები ანატოლიაში, სახელმწიფო მიწები უნდა გადაეცეს არა-მქონებელ გლეხობას, მათ არ უნდა გადახდეს სახელმწიფო გადასახადები და საერთოთ უნდა მოგვარებულ იქმნეს გადასახადების საკითხი.

**კიპროსი.**

**ანგორა**, 27 აგ. სტამბოლის გაზეთები იტყობინება, რომ ინგლისს გადაწყვეტილი აქვს გადასცეს კუნძული კიპროსი ბერძნებს, იმ პირობით, რომ ინგლისელები ისარგებლებენ მით.

**პოლონელები და ვრანგელი.**

**ლიონი**, 7 სექტემბერი. ვრანგელის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი მახროვი მოვიდა ვარშავაში. გაზეთ „დეილი ექსპრესი“-ს ცნობით ის აწარმოებს მოლაპარაკებას რუსეთის გენერლებთან, რომლებიც აწყობენ 150 ათასიან არმიას და დახმარებას ვრანგელისათვის.

**სავაჭრო ხელშეკრულება ავსტრიასა და სამხრეთ სლავიას შუა.**

**ლიონი**, 7 სექტემბერი. (რადიო.) რადიო სააგენტო იტყობინება ავსტრიასა

## რით აიხსნება რუსეთში სოციალისტური რევოლიუციის ადვილად გამარჯვება?

რა წინასწარი პირობებია აუცილებელი სოციალისტ. რევოლიუციისა და სოციალიზმისათვის? ამაზე პასუხს იძლევა მარქსიზმის მოძღვრება, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოების ანატომიას და ფიზიოლოგიურ პროცესებს იკვლევს. კაპიტალისტური საზოგადოება ღრმა წინააღმდეგობათა ქსელს წარმოადგენს. ბუნების ძალთა დამორჩილების და უთვალავ სიმდიდრის დაგროვების გვერდით ის წარმომშობია ხალხის დიდი უმეტესობის უკიდურესათ დაჩაგვრის, მათი გაძვალტყავების, მათი სულიერათ დამჟნების და გონებრივათ გამოყეყეჩების. დადებითი და უარყოფითი მიდრეკილება—ტენდენციები ერთად ჩაქსოვილია მის ბუნებაში და თანაბარ როლს თამაშობენ სოციალისტურ რევოლიუციის მომზადების პროცესში კაპიტალი იზრდება—მრავალ კაპიტალისტების ექსპროპრიაცია შედარებით მცირერიცხოვან უმდიდრეს კაპიტალისტების მიერ იწვევს კაპიტალის ე. წ. ცენტრალიზაცია—კონცენტრაციას; ამავე დროს ხდება შრომის განსაზოგადოება, მუშების მასსების ერთ ჭერს ქვეშ მოქცევა, ერთ სამრეწ. დარგში თავის მოყრა, ამასთანავე ყველა ხალხები ებმებიან პირდაპირ თუ არა პირდაპირ კაპიტალისტურ წარმოებაში—კაპიტალისტური რეჟიმი მსოფლიო ხასიათს ღებულობს. მარქსი თავის „კაპიტალში“ ასე აღწერს ამ პროცესს: „კაპიტალის მაგნატების რიცხვის შეუჩერებელ შემცირებასთან ერთად, რომლებიც ძალით ითვისებენ და თავის მონოპოლიათ აცხადებენ ამ გარდაქმნელ პროცესის ყველა უპირატესობებს, იზრდება დიდათ სიღარიბე-სილატაკე, ჩაგვრა, დამონება, გადაგვარება და ექსპლოატაცია, მარა იზრდება აგრეთვე აღშფოთება მუდმივ მოზარდ, შკოლა გავლილ, გაერთიანებულ და თვით კაპიტალისტური პროცესის მექანიზმით ორგანიზაციულათ დარაზმულ მუშათა კლასისა“. ეს ზოგადი საზომია განვითარების მიმართულების და ტენდენციის, ის არ წარმოადგენს კიდევ იმ თერმომეტრს, რომლის დახმარებით შეიძლებოდეს უტყუარი დასკვნის გამოყვანა—ესა თუ ის ქვეყანა უკვე მზათაა, მომწიფებულია სოციალიზმისთვისო. მარქსიზმის მოძღვრებით სოციალიზმის წინასწარი პირობებს წარმოადგენენ: საკმაოთ დიდი საწარმოვო ძალთა დაგროვება—ე. ი. საკმაოთ განვითარებული კაპიტალისტური წარმოება ერთი მხრით, და საკმაოთ მრავალრიცხვოვანი პროლეტარიატი, თავისი გაჭირვებული მდგომარეობით უკმაყოფილო და მშფოთვარე—მეორე მხრით. სათანადო ისტორიულ პირობებში ეს ორი ელემენტი—დადებითი და უარყოფითი—ერთმანეთს ავსებენ, ანაყოფიერებენ და ასე შედუღებული სარჩულად ედებიან სოციალისტურ აფეთქებას. ვიწრო მაშტაბით ასეთი შედუღება ადვილი დასანახი ხდება ე. წ. კრიზისების დროს, რომლებიც წარმოადგენენ კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგობათა დროებითს და ადგილობრივს აფეთქებას: ერთი მხრით, მიუხედავათ საწარმოო ძალთა უმაღლესად განვითარებისა, წარმოება შეწყვეტილია, მეორე მხრით—შრომის მწყურვალე მუშათა მასსებში უმუშევრად დარჩენილი, მშიერ მწყურვალნი რჩებიან. წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი მდგომარეობა გამეფებულა მთელს ქვეყანაში—ან კიდევ მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში—და ჩვენ მივიღებთ კაპიტალიზმის კრახის ერთ-ერთ ფორმას.

მარქსი და ენგელსი მე-19 საუკუნის 50-იან წლებში უფრო უარყოფით ელემენტებს აქცევდენ ყურადღებას, ვინემ დადებითს, ისინი მოელოდენ კაპიტალიზმის დანგრევას და სოციალისტური წარმოების განმტკიცებას უფრო როგორც მუშათა კლასი „აღშფოთების“ შედევს, ვინემ კაპიტალიზმის მომწიფების ნაყოფს. ისინი ცდებოდენ—ძალათ განწყობილება ვერ დარჩა ხელსაყრელი სოციალისტური გადატრიალებისათვის, კაპიტალიზმმა მას შემდეგ კიდევ უფრო განავითარა თავისი „დადებითი“ მხარეები, უმწვერვალესად განვითარდა, რათა საუკუნის მიწურულში მიეღწია უკანასკნელ საფეხურამდე, იმპერიალიზმის სტადიამდე, საიდანაც უკვე სოციალიზმის სამეფო სჩანს. იმპერიალისტური ომის სახით კაცობრიობას დაეუფლა ისეთი კრიზისი, რომელიც აუცილებელს ხდიდა და გახადა კიდეც სოციალისტური გადატრიალება.

ჯერ კიდევ 1888 წ. ფ. ენგელსი სწერდა, რომ მსოფლიო ომი გამოიწვევს „საყოველთაო გაღატაკებას და შექმნის პირობებს მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისთვის“—ო.

1911 წ. კაუცკიმ თავის წიგნში: „სავაჭრო პოლიტიკა და სოც.-დემოკრატია“ წამოაყენა ორი გამოსავალი წერტილი სოციალისტური გადატრიალების: 1) „კლასობრივ ბრძოლაში გამაგრებულ პროლეტარიატის პოლიტიკური გამარჯვება“ და 2) „არსებულ ეკონომიური სისტემის დამსხვრევა ხალხთა შორის ომში“.

ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მარქსიზმის (ენგელსი, კაუცკი და სხ.) შეხედულებით, პროლეტარული კლასი, სოციალისტურიც რომ არ იყოს იგი, რაკი პოლიტიკურ ბატონობას ჩაიგდებს ხელში აუცილებლად სოციალისტურად გარდაქმნის საზოგადოებას (იხ. კაუცკის; „სოციალურ რევოლიუცია“ „პერსპექტივები სოც. რევოლიუციის“, „გზა ძალა-უფლებისაკენ“) ენგელსის „კომუნიზმის პრინციპები“ და სხ.).

პროლეტარულ რევოლიუციის გასამარჯვებლად აუცილებელი პირობაა შინაური კლასობრივ ძალთა ხელსაყრელი ურთიერთობა და ე. წ. რევოლიუციონური სიტუაცია. ამ პირობების გათვალისწინება ყოველ შემთხვევაში ადვილი საქმეა, და თვით ფაქტი პროლეტარიატის გამარჯვებისა ხომ საუკეთესო მაჩვენებელია მათი არსებობის.

„პროლეტარული რევოლიუცია სოლიდარული უნდა იყოს“ (კ. მარქსი), ე. ი. მას უნდა გამოეხმაუროს ყველა თუ არა, ევროპის რამდენიმე დაწინაურებული ქვეყნები მაინც. თუ კი იქაც შექმნილია რევოლიუციური სიტუაცია, გამოხმაურების დროის საკითხია:—ადრეა თუ გვიან მოხდება ეს გამოხმაურება—ეს მეტად დიდმნიშვნელოვანია უკვე რევოლიუციურ ალში გახვეულ ქვეყნისათვის, მარა არა გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელი, ოღონდ კი მებრძოლმა ქვეყანამ შესძლოს გაძლება, სანამ მის ბრძოლას გაიზიარებდენ დანარჩენი „რიგში ჩამდგარი“ ქვეყნების პროლეტარები.

ამრიგად, მარქსიზმის მოძღვრებით სოციალიზმის განხორციელების წინასწარი პირობებია:

1. საკმაო განვითარება კაპიტალისტური წარმოების—ე. ი. კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, ტეხნიკური პროგრესი ერთი მხრით და მრავალ-რიცხოვანი, თავისი მდგომარეობით უკმაყოფილო მუშათა კლასი.

2. ხელსაყრელი შინაური პირობები კლასობრივ, სამოქალაქო ომისთვის, რომლის მიზანია პროლეტარიატის პოლიტიკური გაბატონება, მისი კლასიური დიქტატურა სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

3. პროლეტარული რევოლიუციის საგარეო ხელსაყრელი მდგომარეობა, რომ ის არ დარჩეს გამარტოებული, რომ მას ადრე თუ გვიან გამოეხმაუროს და დაეხმაროს დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნების მებრძოლი პროლეტარიატი.

რაღა თქმა უნდა ეს სქემა სავსე არ არის, არსებობს მრავალი სხვა წინასწარი პირობები, ურომლისოდაც სოციალისტური რევოლიუცია ვერ გაიმარჯვებს, მარა ამ ჟამად საკმარისია ჩამოთვლილი, უმთავრესი პირობების აღნიშვნა.

იყო თუ არა რუსეთი ამ მხრივ მომზადებული სოციალისტური რევოლიუციის დასაწყებათ? ვნახოთ. მხოლოდ მკითხველს გავახსენებთ, რომ რუსეთის პროლეტარიატის მომზადების შესახებ ჩვენს გაზეთში უკვე იყო რამოდენიმე ფელეტონი და ახლა აღარ შევჩერდებით ამ საკითხზე.

ნ. გექტორი.

და სამხრეთ სლავიას შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, ავსტრია რუმინეთის ხელშეკრულების დაგვარათ.

**დამსჯელი რაზმები**

**კონსტანტინეპოლი,** 25 აგვისტო. ეწყობა დამსჯელი რაზმები ანატოლიის აჯანყებულთა დასამორჩილებლათ. „იკდამი" იტყობინება, რომ მთავრობა არ აპირებს დაიწყოს სამხედრო ოპერაციები აჯანყებულთა წინააღმდეგ მანამ, სანამ არ იქნება დამთავრებული მოსამზადებელი მუშაობანი დასახული მიზნის გამარჯვებით დასაგვირგვინებლათ.

**ოსეთის ახალგაზრდობა.**

**ვლადიკავკავი,** 3 სექტემბერი. ოსეთის კომუნისტ. ახალგაზრდათა კავშირი აწარმოებს ენერგიულ მუშაობას: აარსებენ ახალ ორგანიზაციებს, ამასთან მოახდინეს თავის წევრთა 5 პროც. მობილიზაცია ერანგელის ფრონტზე გასაგზავნათ, აწყობენ სექციებს, მიტინგებს, სპექტაკლებს და სახალხო კითხვებს. აწარმოებენ ფართო საავიტაციო მუშაობას.

**საოლქო კონფერენცია.**

**ვლადიკავკავი,** 7 სექტემბერი. 10 სექტემბერს მოწვეულ იქნება რუსეთის კომ. პარტიის ვლადიკავკავის საოლქო კომიტეტის მიერ არდენში პირველი პარტიული საოლქო კონფერენცია.

**თეთრ. გვარდიელების ახალი საზიზღრობა.**

**მოსკოვი,** 7 სექტემბერი. (რადიო) პეტროგრადში, 31 აგვისტოს მოხდა საზიზღარი მკვლელობა ფილიანდიის კომუნისტური პარტიის წევრების და აქტიური პარტიული მომუშავეების. მკვლელობა შემდეგ ნაირათ მოხდა. ფინეთის მუშათა კლუბის შენობაში აქტიური პარტიული მუშების კრების დროს შემოვიდენ შეიარაღებული ფინები და შემოსვლისას რევოლვერით მოკლეს ორი ცეკას წევრი და შემდეგაც განაგრძეს სროლა; არჩევდნენ უფრო პასუხისმგებელ მომუშავებს. მათ 9 ამხანაგი დასჭრეს და 7 მოკლეს. საქმის გამოსაძიებლათ შესდგა კომისია დზერჟინსკის თავმჯდომარეობით. კომისიამ ჩქარა მიაგნო ფინეთის თეთრგვარდიელთა ეშმაკურათ მოწყობილ გეგმას. ფინეთის ზოგიერთ ახალგაზრდების გამოუცდელობის გამო, თეთრგვარდიელთა მოხერხებულმა ხელმა შესძლო მათი ბრმა იარაღათ გამოყენება. თავისი გეგმის შესასრულებლათ გამოძიება ამ საქმის შესახებ სწარმოებს სწრაფი ნაბიჯით განსაკუთრებულ კომისიაში.

**სავაჭრო გაცვლა გამოცვლა.**

**ტიუმენი.** 8 აგვისტოს ტობოლსკიდან გაგზავნილია საზღვარ-გარეთ გაცვლა-გამოცვლის მიზნით ბუმბლი; სულ ჩრდილოეთ რკინის გზის წარმომადგენელს გადაეცა 22,000 ცალი ტყავი.

**საზავო კონფერენცია რიგაში.**

**ლიონი,** 7 სექტემბერი. (რადიო) დეპეშა რიგიდან იტყობინება, რომ რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკება დაიწყება 9 სექტემბერს.

**საქონლის გაცვლა.**

**ბაქო,** 6 სექტ. თურქესტანსა და ადერბეიჯანს შორის სწარმოებს ბამბის, ზეთის და ტეხნიკურ მასალების გაცვლა ერთი მეორესთან.

**აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა.**

**ბაქო,** 5 სექტემბ. 4 სექტემბერს მოხდა ორი სხდომა აღმ. ხალხთა ყრილობის. საღამოს სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის წარმომადგენლებმა.

# სოფელი და მიწის მუშა

## რა „სამსახური" გაუწიეს სპეკულიანტებმა ზუგდიდის მაზრის მშრომელ მასას?

(დასასრული იხ. „ახ. კომ." № 38)

უდავოა, რომ წრეულს ზუგდიდის მაზრაში სიმინდის ნაკლულევანება იყო, რის გამოც საკმაო შიმშილობას ქონდა ადგილი. ამგვარად, ზუგდიდის მაზრის მცხოვრებთა საკმაო ნაწილი წრეულს სიმინდის ყიდვაში იმყოფებოდა, თუ რამ საქონელი გააჩნდა სოფლის მუშებს, დაწყებული შინაური ცხოველებით სახლის სულ უბრალო ავეჯეულობამდე, სულ სპეკულიანტებს ჩაუვარდათ ხელში ფრიად მცირე ფასებში. შეიძლება ზოგიერთმა იკითხოს, როგორ? რანაირათო? როგორ და სოფლის მუშა იძულებულიყო შიმშილობის გამო ყველაფერი გაეყიდა, ოღონდ კი რამეფერად თავისთვის და თავის ცოლშვილისთვის ლუკმა მიეწოდებია (თუ წინად სამჯერ დღეში, ახლა ერთჯერ მაინც). და აი სწორედ ამიტომაც სოფლის მუშები იძულებული იყვნენ მყიდველისათვის იქით ეძლიათ საქონელი. ხოლო ნათქვამია: „მიძლეული პური ძაღლმა არ სჭამაო". სპეკულიანტიც ზანტად ეკიდებოდენ მიძლეულ საქონელს და ათასგვარ ხრიკების საშუალებით სოფლის მუშების საქონელს ხელთ იგდებდა უმნიშვნელო ფასებში.

ხოლო ის მცირე ფული, რომელსაც სოფლის მუშები ღებულობდენ თავიანთ საქონელში, უნდა მოეხმარებიათ კუჭისათვის ე. ი. უნდა ეყიდათ სიმინდი სადმე აწეულ ფასებში. მაგრამ სად? ახლო-მახლო? იმ ზოგიერთ პროვინციებში, სადაც სიმიდი ცოტათი მაინც მოვიდა? მაგრამ ზუგდიდის მაზრის პროვინციებში თუ რაიმე მოიპოვებოდა, როგორც სიმინდი, ისე სხვა ჭირნახულიც; მაგ.: ლობიო, მუხუდო და სხვ. ეს ყველაფერი იმავე გაიძვერა სპეკულიანტებმა ღამ-ღამობით გაიტანეს და ზუგდიდის მაზრის მშრომელ, დამშეულთ კი პირიდან ლუკმა ამოაცალეს. წვრილი მოხელეები ეხმარებოდენ სპეკულიანტებს ღამ-ღამობით სიმინდის გატანაში, რისთვისაც საკმაო ჯილდოს ღებულობდენ სპეკულიანტებისაგან.

ამგვარად, ზუგდიდის მაზრის მშრომელ მასისადმი სპეკულიანტებს „დიდი ღვაწლი და სამსახური" მიუძღვით; სახელდობრ: 1) თუ რამ ებადათ ზუგდიდის მაზრის მშრომელთ. შიმშილობისა გამო გასასყიოათ, დაწყებული შინაური ცხოველებით უბრალო სახლის ავეჯეულობამდე, ხელში ჩიიგდეს იაფ-ფასებში. 2) მთელი თავიანთი ძალ-ღონე არ. დაზოგეს, რომ რამეფერად სიმინდი ზუგდიდის მაზრაში არ დარჩენილიყო და მით მშიერი კუჭი დამშეულთა არ გამძღარიყო.

ამის შემდეგ სპეკულიანტთა „მოღვაწეობა მუშების საკეთილდღეოდ" ნათელი და აშკარაა. ზუგდიდის მაზრის მშრომელნო: სოფლის მუშებო და გლეხებო! ვინაა თქვენი მოსისხლე მტერი? თქვენი ეკონომიურად დამჩაგვრელნი? კერძო ვაჭრები, სპეკულიანტები, მემამულენი, სოფლის ჩარჩები, აი ესენია თქვენი ოფლით გასუქებულნი, აი ესენია თქვენი მოსისხლე მტერნი. რომელი პარტიაა თქვენი ინტერესების გამომხატველი? თქვენი (საერთოდ მუშათა კლასის) კეთილდღეობისათვის მებრძოლი? რასაკვირველია ის პარტია, რომელიც შეუბრალებელ ბრძოლას აწარმოებს ზემოხსენებულ მჩაგვრელებთან და მათ აგენტებთან. და აი სწორედ ასეთი პარტია საქართველოში არის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია, რომლის მიზანია დაამხოს კაპიტალისტური წარმოება დამყარებული კერძო საკუთრებაზე და მით მუშათა კლასს (მათ შორის თქვენც) ააცდინოს ის საშინელი ყვლეფა-ჩაგვრა, რომელსაც ადგილი აქვს აქ. მე მტკიცე იმედი მაქვს, რომ ზუგდიდის მაზრის მშრომელი მასსა დაადგება იმ გზას, რომელიც საუკეთესოა მისთვის და საერთოდ კი მთელ მუშათა კლასისთვის.

**კალე ფეიდოსიშვილი.**

---

## სენაკის მაზრა.

სენაკის მაზრა ერთად ერთი მაზრაა საქართველოს რესპუბლიკის, სადაც თვალსაჩინო ღვაწლი და ენერგია გამოიჩინა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ კომუნისტების დევნაში... დიდი ღვაწლი მიუძღვის სოციალ-დემოკრატიულ სამაზრო კომიტეტს, რომლის მეოხებით და სანქციით მოხდა თავდასხმა კომუნისტების ორგანიზაციებზე 6 ივლისს. ამ დროს დაატუსაღეს ყველა პასუხის-მგებელი ორგანიზატორები და სამაზრო კომიტეტის წევრებიც, რომლებიც ახლაც იმყოფებიან ქუთაისის საგუბერნიო ციხეში!..

რა იყო მიზეზი ასეთი უმსგავსო რეპრესიების, ნუ თუ შეიარაღებულ აჯანყების მოწყობა, იარაღების შეძენა, ან და დეზერტირების დაფარვა? ეს ყველაფერი მომიზეზებაა, კრილოვის არაკის არ იყოს—„მგელი და კრავი". (Волк и ягненок). ხომ გახსოვთ მკითხველო, მგელმა ბოლოს რა უთხრა საბრალო კრავსა: „დამნაშავე ხარ მით, რომ შეჭმა მინდა შენიო!".— განა სად იყო იარაღი, არა თუ ყუმბარა, ვინტოვკა და რევოლვერი, უბრალო დაჩლუნგებული დანაც ვერ იპოვნეს კომუნისტურ ბიუროებში, ამხანაგების ბინაზე გაჩხრეკის დროს და ამის შემდეგ შესწევთ უსირცხვილოდ გამბედაობა აღიარონ, რომ კომუნისტები შეიარაღებულ აჯანყებას აწყობდნენო! ნუ თუ არ წითლდებით, ბატონებო, სენაკის მესვეურნო!

მართალია, სენაკში ჩვენი დევნა ჩინებულად ჩატარდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს: კომუნისტების რიცხვი უფრო გამრავლდა, თქვენი სამყაროც შეტორტმანდა, ხედავენ თქვენ ბეც პოლიტიკას და თანდათან გეცლებათ ნიადაგი,—ხალხმა დაინახა, რომ თქვენ ზურგი აქციეთ, გლეხებს ვერაფერი მიეცით, დაატყუეთ და ბოლოს გაატყავეთ, სხვა და სხვა გადასახადები დააკისრეთ და ვინც ვერ გადაიხადა, ძალით გადაახდევინეთ. იყო შემთხვევა, რომ მილიციონერებს გლეხების ოჯახიდან გაჰქონდათ ხაბაკი, ნოხი, ქვაბი, ტანისამოსი და სხ.

ხარკის აკრეფის გამო—ეს ხდებოდა შიმშილობის დროს, სარჩო მას არ გააჩნდა, შიმშილით ცოლშვილი უწყდებოდა, ხილით იკვებებოდა და აბა რა უნდა გადაეხადა, აბა როგორ უნდა გაელო ხარჯი მშიერ მწყურვალე ტიტველსა?.. აი თქვენი სამართალი და დემოკრატიული წყობილება სოფლად! არშინი ბიაზი ამერიკისა ღირს 400 მანეთი და საწყალმა რით უნდა იყიდოს, ან რომელ წყაროდან? რომ შიმშილით არ მომკვდარიყო, მან გაჰყიდა და მუქთად ჩაუგდო ჩარჩვაჭრებს შინაური საქონელი და ამნაირად შიმშილს თავი დააღწია, მაგრამ ტანისამოსი სადღა იშოვოს, ნუ თუ ერობები გაუწევენ დახმარებას? ამისი იმედი გლეხკაცობას არა აქვს, ის უიმედო, სასოწარკვეთილი, წელ-მოწყვეტილია, მას ვერ გაუმართლეს იმედები დღევანდელმა მესვეურებმა—მენშევიკებმა,—ის ხედავს: ძველი დროის ბატონი, ახლაც ბატონია, ძველი დროის მდიდარი, ახლაც მდიდარია და თითონ კი ისევ წელში იგრიხება და ისევ ძველ ძონძებშია გახვეული. ცხოვრებისგან განაწვარი თავის ბედს შესჩივის და ჰფიქრობს: წყეულიც იყოს ეს ქვეყანა!..

Звезда.

# პარტიული ცხოვრება.

## ქ. ფოთი.

5 სექტემბერს შესდგა ფოთის კომიტეტის და ყველა იაჩეიკების წარმომადგენელთა შეერთებული კრება. წევრები საკმაოდ დაესწრენ. დღიურ წესრიგში შედიოდა: 1. მოხსენება პრეზიდიუმისა, 2. მოხსენება ადგილებიდან 3. ორგანიზაციული კითხვები, 4. ლიტერატურის შესახებ, 5. მორიგი კრება 6. დელეგატების შესახებ.

სანამ დღიური წესრიგის გარჩევას შეუდგებოდა, თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა სომხეთში თეთრი ტერორის მსხვერპლთ, რევოლიუციისათვის თავდადებულ გმირების: ალავერდოვის, მურაელიანის, კარაბჯანიანის და სხვათა ხსოვნას, რის შემდეგ მოხსენებაც არ დარჩა საჭირო, აღელვებულმა კრებამ ამ გარემოებით ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: სასტიკ პროტესტს და ზიზღს ვუცხადებთ ფოთის პროლეტარიატი და მშრომელი მასსა, დაშნაკელებს ასეთი საზიზღარი, ასეთი მხეცური თვითნებობისათვის; ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყვეტილი იქმნას თეთრი ტერორი, დაუყოვნებლივ შესწყვიტოთ დევნა კომუნისტებისა, დაუყონებლივ გაანთავისუფლოთ ციხეებიდგან ყველა ჩვენი ამხანაგები! ვაჟბატონებო, დარწმუნებული იყავით, თეთრი ტერორის შემოღება ჩვენს საუკეთესო მებრძოლ ამხანაგებზე, აახლოებენ წუთებს სოციალისტური რევოლიუციისას სომხეთში! აახლოებენ წუთებს თქვენი სასტიკათ გასამართლებისას!

ამის შემდეგ კრება მუხლობრივათ იხილავს დღიურ წესრიგს და გამოაქვს შესაფერისი დადგენილება.

დაბოლოს კრება ითვალისწინებს რა რუსეთში მიმავალ დელეგაციას და მის შემადგენლობას, რომელიც ყოვლად შეუძლებელია ჩაითვალოს საქართველო მშრომელ ხალხის და პროლეტარიატის სურვილის გამომხატველათ, და რომელიც მიდის მხოლოდ იმიტომ, რომ იქ საქართველოში ნაკეთებ შავ საქმეს ხელი დააფაროს და რუსეთის პროლეტარიატს ტყუილებით ყური გამოუჭედოს. ხოლო დაბრუნების შემდეგ საბჭოთა რუსეთი, საქართველოს მშრომელ ხალხს ჯოჯოხეთად დაუხატოს, ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ასეთი ცალმხრივი „მუშათა დელეგაციის" წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ არ აგვირჩევია და არც არიან ჩვენი ინტერესების გამომხატველნი: საჯაროთ ვაცხადებთ, სადაც უნდათ იქ წაბრძანდენ, რაც უნდათ ის ილაპარაკონ, ოღონდ ახსოვდეთ, ფოთის პროლეტარიატის და მშრომელ—მასის სახელით არსად არაფერი სთქვან.

კრების მონდობ. **პრეზიდიუმი.**

# მუშათა ცხოვრება.

## ორიოდე სიტყვა ფოთის რკინისგზის მოსამსახურეებზე

საქართველოს რკინის გზაზედ ამას წინად მოხდა შტატების შემცირება. ფოთი ხომ აქ გამონაკლისს არ შეადგენდა და, რა თქმა უნდა, შტატების შემცირება აქაც მოხდა. დაგვითხოვეს თოთხმეტი კაცი. ჩვენტ დავემორჩილეთ, სხვა რა გზა გვქონდა, მაგრამ როდესაც ჩვენს ადგილზე სხვა ახლები მიიღეს ოთხი კაცი, ეს იმას ნიშნავს რომ, ჩვენ დაგვითხოვეს არა როგორც ზედმეტნი, არამედ როგორც „საეჭვო პირები", რის გამო პროტესტს ვაცხადებთ და არც ვიცით რა სახელი უწოდოთ ასეთ თვითნებობას, ასეთ უმსგავსო საქციელს. დეე, თვით მენშევიკებმა გამოუნახონ ამას შესაფერისი სახელი!. ეს კიდევ ცოტაა, სამსახურიდან გამოყრილ ამხანაგებს ჯერაც ანგარიშები არ ჩაუბარებიათ, ხოლო ბინებიდან კი უკვე გამორეკეს. კაცი იმას არ კითხულობს სად უნდა წავიდეს ქუჩაში უკაპეიკოდ გარეკილი რკინის გზელები. ყველაზე უფრო უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ამხ. მიშა მაისურაძე, რომელიც როგორც ავათმყოფი საავათმყოფოშია მოთავსებული, მისი ცოლშვილი და ნივთები კი ქუჩაში გამოყარა ბ. რაიონის თავმჯდომარემ სერგო სიხარულიძემ. არავითარმა ხვეწნამ და პროტესტმა მაისურაძის უპატრონო ოჯახისამ ვერ გასჭრა ამ ვაჟბატონზე და, ამ რიგათ გამორეკეს ქუჩაში და არც ხვედრი ფული არ აღირსეს. ეს ყველა ბ. სიხარულიძემ იმიტომ მოიმოქმედა, რომ ბინა მოსწონებია.

ვინ იცის რამდენ შევიწროებას და დევნას განიცდიან რკინის გზელები. აი მაგალითიც: ერთი რკინის გზელი კითხულობდა გაზეთ „ახალ კომუნისტს"; ეს დაინახა მენშევიკების შიკრიკმა ბ. ვ. ქაჩიბაიამ და უთხრა: შენ ვინ მოგცა მაგ გაზეთის წაკითხვის უფლებაო, ხომ იცი მაგიზა გაგაგდებენ სამსახურიდანო! მეორეჯერ ეს გაზეთი შენს ხელში არ ვნახო თორემ მე ვიციო!".

ახლა ნათლად გვაქვს წარმოდგენილი, თუ რით ხელმძღვანელობდენ და ხელმძღვანელობენ რკინის გზაში შტატის შემცირების დროს!.

**რკინის გზელი.**

---

## მ ა ს ხ რ ო ბ ა ა

რასაკვირველია, საერთო მოვლენაა ჩვენს ქვეყანაში ძლიერ მცირე ჯამაგირები, რომლებიც მხოლოთ კუჭის გასაძღომათ თუ ეყოფა კაცს, ხანდისხან კი იმასაც არ ყოფნის; სხვა საგნების შეძენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ყველა ასეთებზე ბევრი დაწერილა გაზეთებში, მაგრამ არავის გახსენებია ქუთისის სამაზრო სასწავლებლების დარაჯები, თუ არ ვსცდები, ასეა ნათქვამი: „ერთი მგლისკენ და ერთი ცხვრისკენო".

ქუთაისის მაზრაში ახალი სკოლების გახსნისთანავე მათთვის დარაჯები იქნა დაქირავებული თვით სოფლების მიერ. დარაჯებიც, „საზოგადო მოღვაწეობის თვალთსაზრისით", ძლიერ მცირე ჯამაგირით (150—200—300 მანეთი თვეში) ექირავებოდენ. შემდეგ როდესაც იწყეს მმართველებმა „პარტიობით" მომატება, დარაჯებსაც მიუგდებდენ ხოლმე თითო ლუკმა პურს. ბოლოს და ბოლოს უკანასკნელი ჯამაგირი ავიდა 2000—3000 მან. თვეში; (ლაპარაკია უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის დარაჯებზე).

უფრო საცოდავ მდგომარეობაში არიან დაწყებითი სკოლების დარაჯები. ამ ჟამათ მათი ჯამაგირები არ აღემატება 800 მან. ამას კიდევ თუ დაუმატებთ, უკანასკნელ დღემდის, მათ მიერ ჯამაგირების არა-სისტემატიურ მიღებას, როდესაც უხდებოდათ ორი სამი დღე დარჩენა ქუთაისში 20—30 ვერსიდან ჩამოსულებს, წარმოგვიდგება მწვავე დაცინვა მმართველების მიერ დარაჯებისადმი. ბატონებო, შეიძლება თუ არა არსებობა 800—3000 მან. თვეში, როდესაც ფუთი ფქვილი ფასობს 2500 მან.?

აშკარაა, მმართველები—მენშევიკები იტყვიან: „დარაჯებს შეუძლიათ არსებობა ახლანდელ პირობებში, რადგანაც ისინი ხშირად ადგილობრივი არიან; მუშაობას შესძლებენ თავისივე ოჯახში, დარაჯობის თანამდებობის შესრულებასთან ერთადო". ჰაერში ადვილია სროლა ამისთანა ფრაზების, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ხდება. რატომ? 1) აბა მითხარით, რომელი მემამულე, დაექირავება დარაჯათ?—არც ერთი. დაექირავება მხოლოდ გაღატაკებული გლეხი. ეს თუ ასეა, მაშ მას არც მამული ექნება და არც სამუშავო. 2) დარაჯი, ჩვეულებრივათ უნდა იმყოფებოდეს სასწავლებელში მუდმივ; თუგინდ მამულიც ქონდეს, მე მგონი ჩვენში ყანებს სთესენ მარტში და არა ივნისში, როდესაც ხდება მოსწავლეების განთავისუფლება. ასე თუ ისე დარაჯს უხდება ხუთი-ექვსი საათის მუშაობა დღეში. ღებულობს თუ არა სათანადო სასყიდელს ის ამისთვის? გაბედულათ ვიტყვით, არა. როგორც სჩანს, არსებობა დარაჯის დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. (არ იგულისხმო, მკითხველო, რომ მასწავლებელი ფუფუნებაში სცხოვრობდეს). მაშ, საკმარისია დაბეჩავება, ექსპლოატაცია! ხმა უმდა აღვიმაღლოთ, არავის ნება არ უნდა მივსცეთ თავისუფლად გვყლიფოს ჩვენ! შევკავშირდეთ, ძალა ერთობაშია!

**ქრი—ნი.**

# პროვინციის ცხოვრება.

**ს. სალხინო** (ქუთ. მაზრა). 7 აგვისტოს ს. სალხინოში გაიმართა საღამო; წარმოდგენილ იყო ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ: 1) **„დაბრუნებული დედა"**, დრამა ერთ მოქმედ. კ. რატიშვილისა. 2) **„მე თუ არა შენც არა"** კომედია ერთ მოქმედ. ბოხუასი და 3) **„ქე არ დაიღუპა"** ხუცესი მხიარული კომედია.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და ძლიერ ნასიამოვნებიც დარჩა. შემოვიდა მთლათ 54,000 მანეთი, აქედან წმინდა შემოსავალი დაგვრჩა 26,000 მან., რომელიც გადაიდვა ხიდის სასარგებლოთ. ეს ხიდი უნდა აიგოს მდ. სულორზე ს. ტყელვანის საზღვარზე. წარსულ წლებში დიდ გაჭირვებას განიცდიდენ ადგილობრივი მცხოვრებნი უხიდობის გამო, ნამეტურ ზამთრის თვეებში, და ხიდის აგება ფიქრათაც არავის მოსვლია.

და წელს კი სალხინოს მოწინავე საზოგადოების ინიციატორობით დაიდგა ზემოხსენებული წარმოდგენა. თავის თავად ცხადია, რომ წარმოდგენის შემოსავალი ვერ ააგებს სავსებით ხიდს, მაგრამ მოავეპოება სხვა სახსარი, რომლის განაც შეიძლება ფინანსის აღმოჩენა და რომელთაც დაემატება წარმოდგენიდან შემოსულ თანხას. ამისთვის ვთხოვ ხიდის კომისიას რაც შეიძლება დროზე შეუდგეს ხიდის აგებას.

**გერონტი.**

დრ. რედაქტორი:
**დიმიტრი ჯორბენაძე.**

სტამბა „ეკონომია" დიდი ვანქის ქ. № 3.